საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №450

თბილისი „14" 11 2018 წ.

2018 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული პროფესიული ტესტირების შედეგად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად ან შემდგომ საფეხურზე გადანაწილების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ლ" ქვეპუნქტებისა და „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-40 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 13 ნოემბრის N1459654 სამსახურებრივი ბარათის და 2018 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად ან შემდგომ საფეხურზე გადანაწილების მიზნით შექმნილი კომისიის 2018 წლის 12 ნოემბრის N1 ოქმის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული პროფესიული ტესტირების შედეგად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურზე გადანაწილდნენ ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.

2. 2018 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული პროფესიული ტესტირების შედეგად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურზე გადანაწილდნენ ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი